კოლექტივიზმიდან ინდივიდუალიზმამდე:

სოციალური რეალიზმი 1980–იანი წლების ჩინურ კინოში

თორნიკე ტაბატაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კინომცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეო ხატიაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თორნიკე ტაბატაძე

20 მაისი, 2026

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს 1980–იანი წლების ჩინური კინოს ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას და აანალიზებს მის გადასვლას კოლექტივისტური სოციალისტური რეალიზმიდან ინდივიდზე ფოკუსირებულ კინემატოგრაფიულ პარადიგმაზე.

მაო წეტუნგის გარდაცვალებისა და კულტურული რევოლუციის დასრულების შემდეგ, ტენგ სიაოფინგის მიერ 1978 წელს ინიცირებულმა ეკონომიკურმა და კულტურულმა ლიბერალიზაციის პოლიტიკამ შექმნა "კონტროლირებადი ღიაობის" კლიმატი. ამ კონტექსტში, ხელახლა გაიხსნა პეკინის კინოაკადემია, რომელიც 1982 წელს დაამთავრეს ისეთმა ისტორიულმა რეჟისორებმა, როგორებიც არიან ჩენ ქაიკე, ჭანგ იმოუ, თიენ ჭუანგჭუანგი და ხუანგ ძიენსინი, მოგვიანებით ცნობილნი როგორც "მეხუთე თაობა". ამ თაობამ უარყო პირდაპირი პროპაგანდა კინოში და უპირატესობა მიანიჭა მაღალსტილიზებულ, ალეგორიულ კინოს.

თვისებრივი ტექსტუალური ანალიზისა და ისტორიულ–თეორიული კონტექსტუალიზაციის გამოყენებით, კვლევა განიხილავს ამ ეპოქის უმნიშვნელოვანეს ფილმებს. ლუი ალთუსერის იდეოლოგიური აპარატუსის, ლორა მალვის მაყურებლის თეორიზაციისა და პიტერ ვოლენის კონტრ–კინოს თეორიულ ჩარჩოებზე დაყრდნობით, ნაშრომში გაანალიზებულია, თუ როგორ

მოახდინეს ამ რეჟისორებმა ტრადიციული იდეოლოგიური ნარატივის დესტაბილიზაცია.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სწორხაზოვანი, დიდაქტიკური სიუჟეტების ნაცვლად ვიზუალური კომპოზიციის, სივრცითი იზოლაციის, მორალური ამბივალენტობისა და ვრცელი ლანდშაფტების წინა პლანზე წამოწევით, მეხუთე თაობის კინომ წარმატებით გამიჯნა ინდივიდუალური პროტაგონისტი კოლექტივისტური ნარატივისგან.

გარდა ამისა, ნაშრომი ავსებს ქართულ აკადემიურ სივრცეში ჩინური კინოს კვლევის მიმართულებით არსებულ მნიშვნელოვან სიცარიელს და აყალიბებს სტანდარტულ სახელმძღვანელო პრინციპებს ქართულ ენაზე ჩინური ტერმინოლოგიის ზუსტი ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციისთვის.

საკვანძო სიტყვები: ჩინური კინო, მეხუთე თაობა, სოციალისტური რეალიზმი, ინდივიდუალიზმი, ტექსტუალური ანალიზი, ცენზურა, კინემატოგრაფიული ენა.

Abstract

This thesis investigates the profound transformation of Chinese cinema during the 1980s, tracing its shift from collectivist socialist realism to an individual–focused cinematic paradigm. Following the death of Mao Zedong and the conclusion of the Cultural Revolution, the economic and cultural liberalization policies initiated by Deng Xiaoping in 1978 created a climate of "controlled openness." Within this context, the newly reopened Beijing Film Academy produced its landmark 1982 graduating class, subsequently known as the "Fifth Generation" directors. Featuring filmmakers such as Chen Kaige, Zhang Yimou, Tian Zhuangzhuang, and Huang Jianxin, this generation rejected overt propaganda in favor of a highly stylized, allegorical film language.

Utilizing qualitative textual analysis and historical–theoretical contextualization, this study examines seminal films from this era, including *Yellow Earth* (1984), *The Black Cannon Incident* (1985), *The Horse Thief* (1986), and *Red Sorghum* (1987). Drawing upon the theoretical frameworks of Louis Althusser's ideological state apparatuses, Laura Mulvey's spectator theory, and Peter Wollen's counter–cinema, the research analyzes how these directors destabilized traditional ideological narratives.

The findings demonstrate that by prioritizing visual composition, spatial isolation, moral ambiguity, and expansive landscapes over linear, didactic plots, Fifth

Generation cinema successfully decoupled the individual protagonist from the state commune.

Furthermore, this thesis addresses a crucial gap in Georgian academia regarding Chinese film studies and establishes standard guidelines for the accurate transcription and transliteration of Chinese terminology into the Georgian language.

Keywords: Chinese Cinema, Fifth Generation, Socialist Realism, Individualism, Textual Analysis, Censorship, Cinematic Language.

მადლობა

კვლევაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, თეო ხატიაშვილს.

მადლობა ჭანგ იმოუს, რომლის ათიოდე წლის წინ აღმოჩენის გარეშეც ალბათ არასდროს დავინტერესდებოდი ჩინური კინემატოგრაფით ამ დოზით და არ დავწერდი ნაშრომს მეხუთე თაობის რეჟისორებზე.

მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წერის ლექტორს, თამარ თარალაშვილს, რომელმაც უდიდესი თანადგომა გამიწია ნაშრომზე მუშაობის პერიოდში.

მადლობას ვუხდი ჩინური ენის ჩემს პირველ მასწავლებელს, ანა გოგუაძეს, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩემს სინოლოგად ჩამოყალიბებაში და რომლის გარეშეც ალბათ არ იარსებებდა ეს ნაშრომი იმ ფორმით, რა ფორმითაც არსებობს.

მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კინომცოდნეობის მიმართულების ყველა პროფესორ–მასწავლებელს, რომლებიც არასდროს იზარებენ რომ იდგნენ ისტორიის სწორ მხარეს სტუდენტების გვერდით.